



Georgian National  
Film Center

საქართველოს კინემატოგრაფიის  
ეროვნული ცენტრი

# ცნობის ფურცელი

## №4, 2012



## მიმდინარე კინოპროექტები

- დასრულდა დოკუმენტური ფილმი „ქართული ნაგაზი“ (საპროდიუსერო კომპანია შპს „თი-სტუდია“, რეჟისორი – დემნა ჯაფარიძე).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ალეთეა“, რეჟისორი – თინა გურჩიანი).
- დასრულდა მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დეტონატორი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სოლოსოლო“, რეჟისორი – ბესო სოლომანაშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „რამაზ ჩხიკვაძე“ (საპროდიუსერო კომპანია – ინდ/მეწარმე „საბა ამირეჯიბი“, რეჟისორი – ალექსანდრე რეხვიამშვილი).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „კინო“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სტუდია რეალიტი“, რეჟისორი – უტა ბერია).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მმა“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „სინეტექი“, რეჟისორი – თეონა მღვდელაძე/გრენადე).
- სამონტაჟო პერიოდშია ქართულ – სომხურ – ფრანგულ-უკრაინული სრულმეტრაჟიანი კოპროდუქცია „ფარაჯანოვი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ჯემინი“, რეჟისორები – ოლენა ფეტისოვა, სერჟ ავედიკიანი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ფიქრი“ (საპროდიუსერო კომპანია – ფიზიკური პირი ირაკლი ბაღათურია, რეჟისორი – გელა კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი საბნის ნაკეცი“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „ზაზარფილმი“, რეჟისორი – ზაზა რუსაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „გრძელი ნათელი დღეები“ (საპროდიუსერო კომპანია – შპს „POLare FILM“, რეჟისორი – სიმონ გროს, ნანა ექვთიმიშვილი).

„ჩემი საბნის ნაკეცი“

- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ტოტალიზატორული ფსიქოზი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „გოგო ლები“, რეჟისორი - კონსტანტინე ესაძე).
- სამონტაჟო პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი ანიმაციური ფილმი „ვეფხვი დამოყმე“ (საპროდიუსერო კომპანია - ფიზიკური პირი ზურა ქვაჩახია, რეჟისორი - მარიამ კანდელაკი).
- სამონტაჟო პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სახლი გზის პირას“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ბასტრა ფილს“, რეჟისორი - გიორგი ბარაბაძე), ფილმის პრემიერა დაგეგმილია სექტემბერში.
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „მანდარინები“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სინემა 24“, რეჟისორი - ზაზა ურუშაძე).
- გადაღების პროცესშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თემურის შვილები“ (საპროდიუსერო კომპანია - ფიზიკური პირი ზურა ქვირია, რეჟისორი - კოტე თაყაიშვილი).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ჩეჩნეთის გზაჯვარედინი“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „სტუდია ლოკოკინა“, რეჟისორი - ალექსანდრე კვატაშიძე).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „მადონა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ლიბ ჯი“, რეჟისორი - ნინო გოგუა).
- გადაღების პროცესშია სრულმეტრაჟიანი დოკუმენტური ფილმი „ბიბლიოთეკა“ (საპროდიუსერო კომპანია - ააიპ „Matchhouse FILM“, რეჟისორი - ანა ციმინტია).
- წარმოების პროცესშია შპს „სანგუკოს“ სრულმეტრაჟიან მხატვრულ ფილმის პროექტი „თამაში“, რეჟისორი ნიკა მაჩაიძე და პროექტი „ველური დღეების ქრონიკები“ რეჟისორი - დავით უჯმაჯურიძე).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „სიმინდის კუნძული“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „ალამდარი“, რეჟისორი - გიორგი ოვაშვილი).
- მოსამზადებელ პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი ქართულ-ბრიტანული კოპროდუქცია „ეპიკი“ (საპროდიუსერო კომპანიები - F & ME, Sps „20 STEPS PRODUCTIONS“, რეჟისორი - ბენ ჰოპკინსი).
- მოსამზადებელ პერიოდშია მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „დინოლა“ (საპროდიუსერო კომპანია - შპს „აბკ“, რეჟისორი - მარიამ ხაჭვანი).

„ჩემი საზნის ნაკეცი“

„სიმინდის კუნძული“

# ქინოსცენარები

- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „უარყოფითი რიცხვები“ (განმცხადებელი - შპს „ზაზარფილმი“, სცენარის ავტორი - უტა ბერია).
- განვითარების პერიოდშია სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „შეყვარებული დომინიკი“ (განმცხადებელი - გელა კანდელაკი, სცენარის ავტორი - მზია კეკელიძე).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მალა აწეული ხელები“ (განმცხადებელი - ქეთევან მაჭავარიანი, სცენარის ავტორები - ქეთევან მაჭავარიანი, ნესტან კვინიკაძე).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „სხვისი სახლი“ (განმცხადებელი და სცენარის ავტორი - რუსუდან გლურჯიძე).
- დასრულდა სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმის სცენარი „მე ვარ ბესო“ (განმცხადებელი - შპს „რეკე პროდაქშენი“, სცენარის ავტორი - გიორგი ცქვიტინიძე).

„ფარაჯანოვი“

„გასროლა წყალში“


„ჩემი საბნის ნაკეცი“

„სიმინდის კუნძული“

# ფესტივალები

## ბერლინალეს წარმომადგენლური თბილისში

9-10 ოქტომბერს თბილისს ოფიციალური ვიზიტით ბერლინალეს წარმომადგენლები სტუმრობდნენ: ბერლინალეს ფორუმის ხელმძღვანელი - კრისტოფ ტერჰეხტე და ბერლინალეს სელექციონერი - ნიკოლაი ნიკიტინი. ეროვნული კინოცენტრის მოწვევით ჩამოსული სტუმრები გაეცნენ ქვეყანაში მიმდინარე კინოპროცესებს, ნახეს ბოლო პერიოდის ქართულ ფილმები და შეხვდნენ ქართველ კინემატოგრაფისტებს. განსაკუთრებულ ინტერესს მათში ქართული კინოსექტორის ახალგაზრდა წარმომადგენლები იწვევენ. ბერლინალესთან ეროვნული კინოცენტრი უკვე წლებია თანამშრომლობს. ოფიციალური შეხვედრა საქართველოს კულტურის მინისტრსა და ბერლინალეს პრეზიდენტს შორის გაიმართა ფესტივალის დროს 2012 წლის თებერვალში.



## სარაევოს კინოფესტივალის დელეგაცია თბილისში

ეროვნული კინოცენტრის მოწვევით, 21-23 ოქტომბერს თბილისში სამუშაო ვიზიტით სარაევოს კინოფესტივალის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ: ფესტივალის დირექტორი - მირსად პურივატრა, ინდუსტრიული სექციის ხელმძღვანელი - იოვან მარიანოვიჩი და ინდუსტრიული პროექტების მენეჯერი - ენა დოზო.

ვიზიტის მიზანი იყო, ქართველი კინემატოგრაფისტებისთვის გაეცნო სარაევოს კინოფესტივალის პროგრამები და გაეწია კონსულტაციები მომავალი თანამშრომლობისთვის, რადგან 2012 წლიდან სარაევოს საერთაშორისო კინოფესტივალის ინდუსტრიული პროგრამა ქართველი მონაწილეებისთვის ოფიციალურად გაიხსნა.

კინოცენტრის ხანგრძლივი მუშაობის შედეგად, 2013 წლიდან საქართველოსთვის ასევე გაიხსნება ფესტივალის საკონკურსო პროგრამა. მოლაპარაკება ფესტივალის დირექტორს და ეროვნული კინოცენტრის დირექტორს შორის დაიწყო 2011 წელს.



## ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალის წარმომადგენლები თბილისში

1-3 ნოემბერს, თბილისში, სამუშაო ვიზიტით ლოკარნოს საერთაშორისო კინოფესტივალის წარმომადგენლები იმყოფებოდნენ: მარტინა მალაკრიდა - ფესტივალის სექციის Open Doors ხელმძღვანელი და ჟოელ შაპრონი - ფესტივალის კონსულტანტი და რეგიონის ექსპერტი.

ეროვნული კინოცენტრის და ფესტივალის მჭიდრო თანამშრომლობის შედეგად, სტუმრები საქართველოში შეხვდნენ ქართული კინოსექტორის წარმომადგენლებს და გაეცნენ მიმდინარე კინოპროექტებს.

ვიზიტის მთავარი მიზანი იყო, ქართველი კინემატოგრაფისტები ჩაერთონ ევროპულ კინოპროცესებში. ლოკარნოს კინოფესტივალის ინდუსტრიული პროგრამა Open Doors 2013 წელს ფოკუსს აკეთებს კავკასიის რეგიონზე. სექციის მიზანია, ხელი შეუწყოს სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებიდან რეჟისორებს და პროდიუსერებს, მოიძიონ პოტენციური პარტნიორები.




## სხვა პროექტები

### ეროვნული კინოცენტრის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტი

ნოემბრიდან, საზოგადოებრივი მაუწყებლის ეთერში, ბოლო წლებში გადაღებული წარმატებული ქართული ფილმები ინტენსიურად გადის. ფართო მაცურებელს საშუალება აქვს, ნახოს ეროვნული კინოცენტრის მიერ ბოლო 7 წლის მანძილზე მხარდაჭერილი მხატვრული და დოკუმენტური ფილმები.

ეროვნული კინოცენტრის და საზოგადოებრივი მაუწყებლის ერთობლივი პროექტის მიზანია, საზოგადოებამ ნახოს და შეაფასოს თანამედროვე ქართული საავტორო კინო, რისი საშუალებაც კინოთეატრებში არც ისე ხშირად არის.

პროექტი ეთერში გადის ნოემბრიდან, კვირაში ერთხელ, შაბათობით, 23 საათზე. ფილმის დაწყებამდე ეთერშია 15 წუთიანი ე.წ. ინტრო, რომელშიც წამყვანი მაცურებელს კონკრეტული ფილმის შემოქმედებითი ჯგუფის წევრს აცნობს, (რეჟისორს, პროდიუსერს ან მსახიობს), შემდეგ კი ის თავად წარუდგენს საკუთარ ნამუშევარს მაცურებელს.



## Film Print - # 6

6 ნომბერს, ეროვნულმა კინოცენტრმა კულტურის სამინისტროში, გამართა ჟურნალ Film Print - ის მეექვსე ნომრის პრეზენტაცია.

ნომრის რედაქტორები იყვნენ კინომცოდნე და რეჟისორი - ირაკლი ჩხიკვაძე და დამოუკიდებელი ჟურნალისტი - ირინე ჟორდანიას.

ჟურნალი ქართულ კინემატოგრაფზე კვარტალში ერთხელ გამოდის და ყოველ ნომერზე მუშაობს რედაქტორთა ახალი ჯგუფი.

ჟურნალის მიზანია, ქართული კინოკულტურის პოპულარიზაცია, თანამედროვე კინოპროცესების გაცნობა ფართო აუდიტორიისათვის, კინოსექტორში მოღვაწე ადამიანების ინფორმირება მათი კოლეგების მიღწევებისა და პროფესიული გეგმების შესახებ. გარდა ამისა, ჟურნალი საინტერესო იქნება სხვადასხვა სფეროში მოღვაწე მკითხველისთვისაც, რაც თავის მხრივ გამოიწვევს ზოგადი ინტერესის გაზრდას კინოს მიმართ.

ჟურნალი ვრცელდება უფასოდ ლიტერატურულ კაფეებსა და საზოგადოებრივი თავშეყრის სხვა ადგილებში.

ახალ ნომერში აქცენტი გაკეთდა ქართულ თანამედროვე კინემატოგრაფზე და მის პრობლემატიკაზე.

## Film Print - # 7

28 დეკემბერს კი კაფე გალერიში შედგა ჟურნალის საახალწლო ნომრის პრეზენტაცია. რედაქტორები - რეჟისორი ქეთი მაჭავარიანი და ჟურნალისტი - ნუცი კირცხალია.

ჟურნალ ფილმ პრინტ-ის 2012 წლის ზამთრის ნომერში წაიკითხავთ:





თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის, რუსული ფილმების ფესტივალის და ბრატისლავაში ქართული ფილმების რეტროსპექტივის მიმოხილვას, ასევე გაეცნობით ქართული ფილმების: „ამერიკა ერთ ოთახში“, „მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს“ და „რამინი“-ს რეცენზიებს.

რუბრიკა „ჩემი კინო“ სრულად მიემდგვნა ქართველ პროდუსერს - ლევან კორინთელს, რომელიც სექტემბერში 40 წლის ასაკში დაიღუპა. მისი კოლეგები და მეგობრები იხსენებენ მას როგორც პროდუსერს და როგორც მეგობარს.



## □ ქართული ანიმაციური კინოს მატთანე □

13 ნოემბერს, კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს სააქტო დარბაზში, ანიმაციური ენციკლოპედიის პრეზენტაცია გაიმართა. „ქართული ანიმაციური კინოს მატთანე“ შეადგინა ლალი გორგასლიძემ, რომელიც საბავშვო კინოცენტრ „ფიფქიას“ დამფუძნებელია. წიგნი გამოიცა ეროვნული კინოცენტრის ფინანსური მხარდაჭერით. ენციკლოპედიის ეგზემპლარები არ გაიყიდება, ის სასაჩუქრეა.

ენციკლოპედია დეტალურად ასახავს ქართული ანიმაციის ისტორიას, პირველი დღიდან - თანამედროვე მულტიპლიკაციამდე. ილუსტრაციებით მდიდარი წიგნი მაღალი პოლიგრაფიული ხარისხით გამოირჩევა. „ქართული ანიმაციური კინოს მატთანე“ არის პირველი წიგნი, რომელიც ქართულ ანიმაციას ეძღვნება.



# ქართული კინო საზღვარგარეთ

## ქართული ფილმების კვირეული სტრასბურგში

(16-22 დეკემბერი)

ქართული კულტურის დღეების ფარგლებში, 2012 წლის 16-22 დეკემბერს, სტრასბურგის კინოთეატრ „ოდისეა“-ში გაიმართა ქართული ფილმების კვირეული. პროგრამის ფარგლებში სტრასბურგის მოსახლეობას, ასევე ქალაქის სტუმრებს, შესაძლებლობა ჰქონდათ ენახათ საქართველოს მიერ წარმოებული თანამედროვე ფილმები, ასევე ქართული კინოკლასიკა.

სტრასბურგში ქართული კინოს დღეების ორგანიზატორი იყო ეროვნული კინოცენტრი. კინოჩვენებები სტრასბურგში გაიმართა ყოველ საღამოს. კვირეული 16 დეკემბერს ოთარ იოსელიანის ფილმით გაიხსნა. გახსნაზე აუდიტორიის წინაშე სიტყვით გამოვიდა ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი.

ფილმები წარადგინეს თავად რეჟისორებმა და ეროვნული კინოცენტრის წარმომადგენლებმა, სენსის დასრულების შემდეგ მაცურებელს საშუალება ჰქონდა, კითხვები დაესვათ ფილმების რეჟისორებისთვის.



## ორი ქართული პროექტი კოტბუსის ფესტივალზე

ქართულ-ესპანური კოპროდუქცია „ჩაიკა“, სან სებასტიანის ფესტივალის კონკურსის შემდეგ, გერმანიაში კოტბუსის კინოფესტივალზე (6-11 ნოემბერი, 2012) მიიწვიეს. ფილმი 22-ე ფესტივალის სექციაში Global East მოხვდა. მიგელ ანხელ ხიმენესის ნამუშევარს, რომლის პროდიუსერიც ზურა მალალაშვილია, მიღებული აქვს ევრიმაჟის დაფინანსება.



კოტბუსის ფესტივალის Connecting Cottbus აღმოსავლეთ-დასავლეთის კოპროდუქციის ბაზრობაზე სექციაში CoCo Pitch (8-9 ნოემბერი, 2012) მოხვდა „სინეტეკის“ პროექტი „სხვების სახლი“ (House of Others) - რეჟისორი - რუსუდან გლურჯიძე, პროდიუსერები - რუსუდან გლურჯიძე და ზურა მაღალაშვილი, სცენარის ავტორები - დავით ჩუბინიშვილი, რუსუდან გლურჯიძე. პროექტის თემაა უსახლ-კარო, ომგამოვლილი ადამიანები როგორ იბრძვიან გადარჩენისთვის და იდენტობის აღდგენისთვის.

### ქართული კინოს დღეები ბრატისლავაში

23-26 ნოემბერს, სლოვაკეთის ქალაქ ბრატისლავაში, ეროვნული კინოცენტრისა და სლოვაკეთის კინოინსტიტუტის ორგანიზებით, და სლოვაკეთში საქართველოს საელჩოს მხარდაჭერით, გაიმართა ქართული კინოს დღეები.

ბრატისლავაში 4 დღის განმავლობაში ნაჩვენები იყო 7 ქართული ფილმი, როგორც კინოკლასიკის ნიმუშები, ასევე ბოლო წლების ნამუშევრები:

გახსნის ფილმი: „ქუჩის დღეები“ (2010, რეჟისორი: ლევან კოლუაშვილი)

“რაჭა, ჩემო სიყვარულო” (1977 წარმოება: ჩეხოსლოვაკეთი, საბჭოთა კავშირი, რეჟისორები: იოზეფ მედვედი, თემურ ფალავანდიშვილი).

“მაგდანას ლურჯა” (1955, რეჟისორები: თენგიზ აბულაძე, რეზო ჩხეიძე).

“ნეტავ იქ თეატრი არის?!” (2011, რეჟისორი: ნანა ჯანელიძე)

“სამი სახლი” (2008, რეჟისორი: ზაზა ურუშაძე)

“გაღმა ნაპირი” (2009, რეჟისორი: გიორგი ოვაშვილი)

“შანტრაპა” (2010, რეჟისორი: ოთარ იოსელიანი).

ქართული კინოს დღეებს ბრატისლავაში დაესწრნენ ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი და დირექტორის მოადგილე - სალომე სეფაშვილი, ასევე ქართველი კინემატოგრაფისტები ნანა ჯანელიძე და ქეთი მაჭავარიანი.

საქართველო ტალინის ბნელი დამეების საერთაშორისო ფესტივალზე

ტალინის მე-16 კინოფესტივალზე საქართველო რამდენიმე სექციაში იყო წარმოდგენილი. რუსუდან ჭყონიას ფილმი „გაილიმეთ“ მონაწილეობდა ოფიციალურ საკონკურსო სექციაში „ევრაზია“ 19 ნამუშევართან ერთად, ხოლო რუსუდან გლურჯიძის პროექტი „სხვისი სახლი“ მოხვდა ინდუსტრიულ სექციაში Baltic Bridge East by West (B'EST) 10 პროექტს შორის. (26-28 ნოემბერი).

ეროვნული კინოცენტრი ტალინის კინოფესტივალთან რამდენიმე წელია აქტიურად თანამშრომლობს.





### ევრიმაჟი

ზაზა ურუშაძის მხატვრული ფილმის პროექტმა “მანდარინები” ევრიმაჟის დაფინანსება მოიპოვა 2012 წლის 15-18 ოქტომბერს, ალბანეთში ევროპის საბჭოს კინოს განვითარების ფონდის „ევრიმაჟის“ მმართველი საბჭოს 128-ე სხდომა გაიმართა. საბჭოს წევრებმა 18 კინოპროექტი დააფინანსეს, მათ შორის პირველი ქართულ-ესტონური კოპროდუქცია „მანდარინები“ - რეჟისორი ზაზა ურუშაძე. ქართველი რეჟისორის პროექტის მხარდაჭერის გადაწყვეტილება იმ სამ პროექტს შორის იყო, რომლებიც წევრებმა ერთხმად მიიღეს.

ევრიმაჟის მმართველ საბჭოში საქართველოს წარმოადგენს ეროვნული კინოცენტრის დირექტორი - თამარ ტატიშვილი, რომელიც თავად წარადგინდა და იცავდა პროექტს.

ქართულ-ესტონურმა პროექტმა მიიღო 110 000 ევროს ოდენობის ფინანსური მხარდაჭერა.



### □ მანქანა, რომელიც ყველაფერს ბაჟირობს □

(დოკუმენტური ფილმი, 97 წუთი, საქართველო)


ფილმის გერმანული პრემიერა ლაიფციგის დოკუმენტური კინოს ფესტივალზე გაიმართა, საერთაშორისო პრემიერას კი ამსტერდამის დოკუმენტური კინოს საერთაშორისო ფესტივალმა - IDFA - უმასპინძლა, სადაც ფილმი წარდგენილი იყო საუკეთესო დებიუტის (First Appearance), ახალგაზრდობისათვის შექმნილი საუკეთესო ფილმის (Doc U) და მაყურებლის პრიზის (Audience Award) ნომინაციებში. IDFA დოკუმენტური კინოს ერთ-ერთი უდიდესი და წამყვანი ფესტივალია მსოფლიოში, მას ყოველწლიურად 120000-მდე კინომცოდნე, კინოს პროფესიონალი და კინომოყვარული სტუმრობს.

ფილმი ასევე მოხვდა სანდენსის კინოფესტივალის ოფიციალურ კონკურსში.

იდეის ავტორი და რეჟისორი: თინათინ გურჩიანი

ფილმი შედგება ქასთინგებისა და ტრადიციული თხრობისაგან: ფილმისათვის განსაკუთრებით საინტერესო გმირებს რეჟისორი ყოველდღიურ ცხოვრებაში მიყვებოდა. თითოეული გმირი საგულდაგულოდ შეირჩა.

ფილმის გადაღება განხორციელდა საქართველოს ეროვნული კინოცენტრის, საქართველოს გოეთეს ინსტიტუტის და რობერტ ბოშის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.



## თბილისის მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალი

(3-9 დეკემბერი, 2012)

თბილისის მე-13 საერთაშორისო კინოფესტივალი ტრადიციულად ეროვნული კინოცენტრის მხარდაჭერით გაიმართა. ფესტივალის ჩასატარებლად სახელმწიფომ გამოყო 96 000 ლარი.

ფესტივალის ფარგლებში ეროვნულმა კინოცენტრმა საკუთარ ოფისში უმასპინძლა სამუშაო შეხვედრას, რომელსაც დაესწრნენ უცხოელი პროდიუსერები. ისინი გაეცნენ კინოცენტრის მუშაობის პრინციპს და თანამედროვე ქართულ კინოპროდუქციას.

კინოცენტრი ასევე უშუალოდ მონაწილეობდა ფესტივალის ფარგლებში გამართულ უორქშოპ პროგრამში - DAB Producer's Workshop (4-8 დეკემბერი). ერთ-ერთ უორქშოპში 6 ნოემბერს, ქორთიარდ მარიოტში კინოცენტრის დირექტორმა - თამარ ტატიშვილმა გრაციელა ბილდესჰაიმთან ერთად ჩაატარა. თემა იყო ევრიმაჟი და კოპროდუქციის შეთანხმება, რეგიონული და ევროპული კოპროდუქციები.

ეროვნულმა კინოცენტრმა და საქდოკ ფილმმა, პროექტ CAUCADOC-ის ფარგლებში, გამართა სადისკუსიო მრგვალი მაგიდა, თემაზე - დამოუკიდებელი დოკუმენტური კინო ტელეეკრანებზე, დოკუმენტური კინოს დაკვეთა და შესყიდვა. დისკუსიაში მონაწილეობა მიიღეს საზოგადოებრივი და კერძო მაუწყებლების წარმომადგენლებმა. მრგვალი მაგიდის ფარგლებში, ტელეკომპანია "HBO რუმინეთის" წარმოების მენეჯერმა, EMMY-ის ჯილდოს მფლობელმა, აურელიან ნიკამ ქართული ტელეკომპანიების წარმომადგენლებს ტელეკომპანია "HBO რუმინეთის" გამოცდილება გაუზიარა. კინოცენტრის მოწვევით, ფესტივალის ქართველი და უცხოელი სტუმრებისთვის ასევე გაიმართა წვეულება - მიღება, რესტორან ქალაქურში, სადაც კინოპროფესიონალებს სხვადასხვა ქვეყნიდან საშუალება ჰქონდათ არაფორმალურ გარემოში გაეცნოთ ერთმანეთი და განეხილათ სამომავლო თანამშრომლობა.

ქართული პარონამა:

საუკეთესო ქართულ ფილმად აღიარეს "მანქანა, რომელიც ყველაფერს გააქრობს". ფილმის - რეჟისორი თინათინ გურჩიანი 2013 წლის იანვარში გოტებურგის საერთაშორისო ფესტივალზე გაემგზავრება.

## ქართული ფილმი ბერლინის 63-ე საერთაშორისო კინოფესტივალის ოფიციალურ პროგრამაში

ახალგაზრდა რეჟისორის - ზაზა რუსაძის სადებიუტო ნამუშევრის მსოფლიო პრემიერა ბერლინის 63-ე საერთაშორისო კინოფესტივალზე შედგება. ქართული სრულმეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „ჩემი საბნის ნაკეცი“ ბერლინალეს ოფიციალური პროგრამისთვის „პანორამა“ შეირჩა. „პანორამა“ ფესტივალის არასაკონკურსო სექციაა, რომელიც საავტორო და კომერციული კინოს ინტერესების დაახლოებას ისახავს მიზნად. ამ სექციაში მონაწილეობენ როგორც სახელგანთქმული რეჟისორები, ასევე დებიუტანტი რეჟისორები და სექცია მხოლოდ მათ ევროპულ და მსოფლიო კინოპრემიერებს ეთმობა.

63-ე ბერლინალე 2013 წლის 7-დან 17 თემერვლამდე გაიმართება და წლის დასაწყისის ეს მნიშვნელოვანი ფესტივალი კინოპროფესიონალების ყურადღების ცენტრში მოექცევა. ფილმი „ჩემი საბნის ნაკეცი“ ბერლინალეს პროგრამის ადრეულ სელექციაში - 15 დოკუმენტურ და მხატვრულ სრულმეტრაჟიან ფილმს შორის დასახელდა.

„ჩემი საბნის ნაკეცი“ ეროვნული კინოცენტრის 2011 წლის კონკურსის გამარჯვებული პროექტია და მისი წარმოების სახელმწიფო სუბსიდიამ 575 000 ლარი შეადგინა. ფილმის მოქმედება ახლო მომავალში, პატარა ქართულ ქალაქში ვითარდება. უცხოეთში სწავლის დასრულების შემდეგ, დიმიტრი სამშობლოში ბრუნდება და სასამართლოში იწყებს მუშაობას. სამსახურის ერთფეროვან დღეებს მისი გატაცება, კლდეზე ცოცვა, ცვლის. მთის წვერიდან მის წინ, ბუნების ულამაზესი ხედი იშლება და დიმიტრი მშობლიური ქალაქის კლაუსტროფობიისგან განთავისუფლებას ცდილობს. ასეთია ფილმის მოკლე სიუჟეტური ხაზი, თუმცა ახალგაზრდა რეჟისორის ნამუშევარი მაყურებელს უჩვეულო კინოთხრობას და ბევრ დამაინტრიგებელ სიურპრიზს სთავაზობს.

თორნიკე ბზიავა, თორნიკე გოგრიჭიანი, გიორგი ნაკაშიძე, ავთანდილ მახარაძე, ზურა ყიფშიძე, ლუდმილა მღებრიშვილი-არტიომოვა, მარინა ჯანაშია, მაკა მახარაძე, დარეჯან ხარშილაძე, შოთა ქრისტესაშვილი, აკაკი ხიდაშელი, გიორგი გიორგანაშვილი - ახალგაზრდა და გამოცდილი მსახიობების ეს ჯგუფი ეკრანზე საინტერესო კინო-სახეებს ქმნის.

ეროვნული კინოცენტრი ბერლინის საერთაშორისო კინოფესტივალთან უკვე 7 წელია აქტიურად თანამშრომლობს. საქართველო 2013 წელს არა მხოლოდ ფესტივალის ბაზრობაზე (European Film Market) იქნება წარმოდგენილი, არამედ მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი კინომოვლენის პრესტიჟულ სექციაში ახალ ქართულ ფილმს წარადგენს.



[www.gnfc.ge](http://www.gnfc.ge)

საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრი

ზ. გამსახურდიას სანაპირო #4  
თბილისი 0105, საქართველო

ტელ: +995 32 299 92 00  
ფაქსი: +995 32 299 91 02

[info@gnfc.ge](mailto:info@gnfc.ge)

[www.gnfc.ge](http://www.gnfc.ge)

[www.filmcommission.ge](http://www.filmcommission.ge)